<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), №20, 08.04.2005, სარეგისტრაციო კოდი 430.050.000.05.001.001.778) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.26 –ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ც^{3}“, ,,ც^{4}“ და ,,ც^{5}“ ქვეპუნქტები:
,,ც^{3}) იღებს ზომებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებისათვის;“.

,,ც^{4}“) ამტკიცებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის სტანდარტს;“.

,,ც^{5}) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ამტკიცებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირების წესს“.

2. 33-ე მუხლის:
ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ე^{1}“ ქვეპუნქტი:
„ე^{1}“. უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;“.

ბ) მეორე პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ე)“ უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე კვების პუნქტების არსებობა;“.

მუხლი 2.
1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში:
ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ც^{4}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის სტანდარტის დამტკიცება.
ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყონ ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ც^{5}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირების წესის დამტკიცება .
გ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2023 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**